ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3316687

ნომერი: AR1511700

თარიღი : 06.06.2017

გაცემის თარიღი : 12.06.2017

გაცნობის თარიღი : 12.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შორაპნის , N 34 , (ნაკვ. 26/47) / ქალაქი თბილისი , ქუჩა შორაპნის , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ხოტენაშვილი პ/ნ 01005023118
- თბილისი გოგოლაურის ქ. კორ. 18 ბ. 39

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 8 დეკემბრის #2949926 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 6 ივნისის #AR1511700 განცხადებით მომართა ნინო ხოტენაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 8

დეკემბრის #2949926 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებელთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის #2829666 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ისანი, შორაპნის ქ. #34-ში, (ნაკვ. 26/47) / ქ. თბილისში, შორაპნის ქ. #34-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: #01.17.13.026.102), დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. სამსახურის 2016 წლის 8 დეკემბრის #2949926 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 12 სექტემბრის #2829666 ბრძანებაში და სარდაფის ფართობად დაფიქსირდა 214.53 კვ.მ., ხოლო, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 159.28 კვ.მ.; განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2016 წლის 8 დეკემბრის #2949926 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებელთან დაკავშირებით. კერძოდ, -3.250 მიშნულზე დამხმარე სათავსოების ფართობად 180.666 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 12.02 კვ.მ-ის , დერეფნისა და ლიფტის შახტის ფართობად 33.87 კვ.მ-ის, შესაბამისად სარდაფის საერთო ფართობად 226.556 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 8 დეკემბრის #2949926 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 8 დეკემბრის #2949926 ბრძანებაში და დაფიქსირდეს: -3.250 მიშნულზე დამხმარე სათავსოების ფართობი 180.666 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 12.02 კვ.მ , დერეფნისა და ლიფტის შახტის ფართობი 33.87 კვ.მ, შესაბამისად სარდაფის საერთო ფართობი 226.556 კვ.მ.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 8 დეკემბრის #2949926 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.